წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. პარასკევი ოქტომბრის 20—(2) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტ-რეგა . . . 5 შაური.
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარეთან მინაბეჭდი განცხადება ერთის ნაცვლად ორ-სამგლოვიარო განცხადებისა, ოთხმოცდა ოთხ-ოთხ-ოთ. ... 14 ... 1917
უმეტეს სამი გამოშვებადგლისა, ნაშუადღევის 2 საათ.
6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღია ადილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე-დღეების გარდა.

№ 154 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 154

ქუთაისის ქალაქის საშუალოთ კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ამ დღეებში დარიგდება

პურის ბარათები

და განცხადებებს თვალ-ყური ადევნონ.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ.„ ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება საუბნო კომიტეტის ბინაზე, **ორპირის ქუჩა, ღოლობერიძის სახლი**. ახლო მომავალში იქვე დაარსდება სამკითხველო პარტიის წევრთათვის. იქვე შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება **დროზე** შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეიოლის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია სავნის **სოდა** და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება „**ულიროლინი**“, აგრეთვე ყოველივე მისთვის მსალები. ფასები ზომიერია.

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი.

19 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება სამხედრო მიმოხილვა

„გერმანეთის შვილნი“

დრამა 3 ნაწ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

1 ნაწ. **გერმანელთა ორბნი.** 2 ნაწ. **მწვავე სხვეების საიდუმლოება.** 3 ნაწ. **ეშმარიტების გამარჯვება.**

ჯერი ყოველივეს კომიკური.

ანონსი: 23, 24 და 25 ოქტომბერს ნაჩვენები იქნება

დატყვევებული ქალაქი ვენტი

შავი არქიდეა დრამა 3 ნაწილად კეტლინ ვილიმსის მონაწ.

1 ნაწ. გარნიზონის კერპი. 2 ნაწ. მხეცთა შორის. 3 ნაწ. მხეცნი და ადამიანები.

სხვის ლხინში ქეიფი კომიკური.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი.

19 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება სურათი

„სიყვარულის დუელი“

დრამა 5 ნაწ. გიორგოვის, რუნიჩის და ხუდელის მონაწილეობით.

ანონსი: 23, 24 და 25 ოქტომბერს ნაჩვენები იქნება

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

სევდა

დრამა 4 ნაწილად, ეოლენა მაეოვისა და ტულიო კარმინატის მონაწილეობით.

1 ნაწ. ცისკარი (რიერაკი). 2 ნაწ. შუადღე. 3 ნაწ. მწუხრი. 4 ნაწ. ღამის წვდიადი.

ჯერი კომიკურის მაგიერ კომიკური.

ქუთაისის მოქალაქეთა საყურადღებოთ.

დამფუძნებელი კრების ქუთაისის საქალაქო საარჩევნო კომისია

საყოველთაოდ აცხადებს, რომ: დამფუძნებელი კრების საარჩევნო სიების გამოსაქვეყნებელ უკანასკნელ ვადათ დანიშნულია მდგომარე 1917 წლის ოქტომბრის 20 რიცხვი; 21 ოქტომბრიდან 27-დი საარჩევნო კომისია იღებს განცხადებებს სიებში აღმოჩენილ შეცდომების თუ გამოტოვებების შესახებ; 28 ოქტომბრიდან 30-დი კომისია არჩევს შემოსულ საჩივრებს; 31 ოქტომბრიდან 3-ნოემბრამდი მოქალაქეთ უფლება ეძლევათ პროტესტი განაცხადონ ან განასაჩივრონ კომისიის დადგენილებანი ოლქის სასამართლოში; 4 ნოემბრიდან 6-დი ოლქის სასამართლო არჩევს შესულ საჩივრებს და 7 ნოემბრიდან 11-მდი ამომარჩევლებს შეუძლიათ კვლავ გადათვალიერონ საარჩევნო სიები.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვიანების სნეულებათა ავადმყოფებს

ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. ბეშენის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

ექიმი

მ. ი. **ბოკიერი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვიანების და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

საქართველოს გადამიჯნვის შესახებ.

ოქტ. 14 და 15 მომხდარმა საერგო თათბირმა, რომელსაც აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა, დადგინა: ერობა დღესვე იქნეს შემოღებული უდაფო მაზრებში, სადაფო მაზრები კი ვიდრე ერობა შემოღებულ იქნებოდეს, გიმიჯნონო.

ამასთანავე სადაოთ ეთულებიან: მთელი ერევნის გუბერნია გარდა არეშისა და ნუხის მაზრებისა, ყარსის მხრის, ყაგიზმანისა და ყარსის განყოფილებანი და თფილისის გუბერნიის ბორჩალოსი და ახალ ქალაქის მაზრები.

კეთილი! მაგრამ რა უნდა დაედვას საფუძვლად გამიჯნვას? გადამიჯნვის მომთხოვნელნი მხოლოდ ეთნოგრაფიულ პრინციპს ემყარებიან. ცხადია კი, რომ ამგვარი გადამიჯნვა დიდ ზიანს მიაყენებდა ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიურსა და კულტურულ წარმატებას.

რომელი სახელმწიფოა დედამიწის ზურგზე, რომ ერთს ეთნოგრაფიულ ერთეულს შეადგენდეს?

მაგალითად, მარტო ეს პრინციპი რომ ყურადღებიეო, რაჭის მაზრის ნაწილი-კუდარო რაჭისათვის უნდა ჩამოგვეჭრა და ჰირიქით ოსეთთან მიგვეკერებია, რომელთანაც არავითარი ეკონომიური დამოკიდებულება არ აქვს! ყირიმის თათრებს შავი ზღვის ჩრდილო ნაპირები მთლად უნდა მოეწყვეტათ რუსეთისთვის! ციმბირს, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა რუსებია, ავტონომია არ უნდა მოეთხოვოს! უკრაინას რომლის ენა მცირედოდან განსხვავდება რუსულისაგან, თავისი ტერიტორიის ავტონომია უნდა უარეყო. ეგრეთ-წოდებულ ბელორუსებს, რომელთა ენა კიდევ უფრო ნაკლებად განსხვავდება რუსულისაგან ავტონომია, არც კი უნდა ეხსენებიათ!

პირიქით, ხსენებული ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ფარგალს მარტო ეთნოგრაფიული პრინციპი კი არ უნდა დაედვას საფუძვლად, არამედ ეკონომიურ გეოგრაფიულიც.

ამას წინეთ ლორისა და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებთა ყრილობებმა საჯაროდ განაცხადეს: ჩვენი ქვეყნები რომ თფილისს მოსწყდენ, ქონებრივად და კულტურულად დაქვეთდებიან და არავის არ მივსცემთ უფლებას ეს საკითხი უჩვენოდ გადასწყვიტოსო! ვაი თუ მათი პროტესტი დარჩეს ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა!

რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ამ მაზრებს ერევნის გუბერნიაში გადასვლამ? რაში გამოადგებათ კარგი გზატკეცილები ერევნისკენ, როდესაც სავაჭრო კავშირი უმთავრესად თფილისთან აქვთ?! რისთვის უნდა შეიწუხონ თავი და იარონ ერევნის საოლქო სასამართლოში, როცა დავა თითქმის მხოლოდ თფილისელებთან აქვსთ და ექნებათ კვლავაც?!

ამგვარად ამ მაზრებს თფილისის გუბერნიისაგან ჩამოჭრა საქართველოს ეკონომიურ მთელობას დაარღვევდა და საზიანო იქნებოდა, როგორც მთელის ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე უმთავრესად თვით ჩამოჭრილი მაზრებისათვის.

ყურადღიეონ ეს, ვიზედაც დამოკიდებულია ამიერ კავკასიის კეთილად მოწყობა, თვარა შემდეგ ვვიან-ღა იქნება თითზე კბენანი!

ვასილ წერეთელი.

ზავი დარუსეთი.

ყველაზე უფრო ზავი რუსეთს სჭირია, მაგრამ ყველაზე უფრო ზავის რუსეთს ეშინია.

ეს შიში საფუძველს არ არის მოკლებული. დრ. მმართველობა, საბჭოები და ფართე დემოკრატიაც იმაში დარწმუნებული არიან, რომ ანარქიის აღში გახვეულ დაშლილი რუსეთის დაშლილ ლაშქრის გამხნევება და სათავარ უნარით აღდგენა შეუძლებელია. ამას ამტკიცებს სამხედრო მინისტრის გენ. ვერხოვსკის სიტყვა წინასწარ პარლამენტში. ვერხოვსკიმ სთქვა: „ჩვენი ჯარი სრულიად დაირღვა, დამფრთხალ ფარას დაემსგავსა. ახლა მხოლოდ მტერის ძლიერი ქუსლი დაგვამშვიდებს, რომელიც შემოვა ჩვენს მამულში და თავში მაგრათ ჩაგვცხებსო.

საბჭოებმა და მთავრობამ უწყის აგრეთვე ის საშინელი ამბები, რუსეთის ერთი კუთხიდან მეორეს რომ ედება; ი	ის „შიმშილის ბუნტები“ შეიძლება ხვალინდელი დღის საზარელობაც განსჭვრეტილი აქვს, მაგრამ მწარე განსაცდელის მარტო გრძნობა და გაგება არაფერს ნიშნავს. რევოლუციური დემოკრატია იმასაც ხედავს, თუ როგორ გაკოტრდა „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავის პრინციპი ინგლის-საფრანგეთში. სკობელევის ნაკაზმა შინაურობა ვერ დაამყოფილა. ხოლო ინგლისში სიცილით შეხვდნენ. გიიხსენეთ რეიტერის საგენტოს დეპეშის შინაარსი, რას ამბობდენ ინგლისელები რევოლუციურ რუსეთის შესახებ.

რუსეთის სოციალისტურ გაზეთების პუბლიცისტები. ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზიაზე კბილებს ილესენ მაგრამ ავიწყდებათ, რომ იმავე პურუუაზიას გვერდში უდგას პროლეტარიატიც და მუშათა კლასი.

ბავშობა იქნებოდა იმის თქმა, რომ გერმანეთი იმპერიალისტურ ომს, მარტო ბურჟუაზიის წყალობით აგრძელებსო. ომის წინაღმდეგ პროტესტით გერმანეთის პროლეტარიატის იდეოლოგები, გარდა ლიბქნეხტისა, ერთიც არ გამოსულა.

იმპერიალისტურად აღსარებელმა ომმა,

ყველგან ეროვნული ხასიათი მიიღო, რადგან მან ამა თუ იმ ქვეყნის თვით მყოფელობის კითხვა დასვა.

ამის შემდეგ რუსეთის დრ. მმართველობის, საბჭოების და დემოკრატიის მდგომარეობა უაღრესად უხერხული ხდება.

გაბედული სწრაფვა, ზავისკენ დამღუპველ პერსპექტივას აყენებს, რადგან ყველამ დაიჯერა, რომ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ცხოველ-მყოფელობა, თვით მის ავტორით არა სწამო. იმ დროს, როდესაც საზავო მოლაპარაკება ძველის წესით დაიწყება და მოდავე სახელმწიფოთა ელჩრის როდენობას და მის მწყობრობას ინსიკალინას განსაკუთრებულ მუხლით განიხილავენ, ამა თუ იმ სახელმწიფოს ომის საწარმოებელ რესურსებს და ამის გარდა მოკავშირე სახელმწიფონი კავშირის დარღვევას შეეხებიან, რუსეთი კიდევ უფრო აუტანელ ყოფაში ჩავარდება. ხოლო როცა საქმე ომისგან გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებაზე მიდგება, კონტრიბუციის შეწერას მორიგ კითხვად დასვამენ. აქ უფრარეს ყოველისა რუსეთი დაისჯება.

მერე ვინ იტყვის ასე არ მოხდებაო. ინგლისი და საფრანგეთი ზარალის ანაზღაურებას ხომ თხოულობენ. მათ გამარჯვებული გერმანეთი მისცემს კონტრიბუციას? საფრანგეთი აგრეთვე მოითხოვს ელზას-ლორენის ანექსიას, რომელსაც იგი დეზანექსიას უწოდებს. ერთი სიტყვით, ანექსიებსაც ექნება ადგილი და კონტრიბუციებსაც. რუსეთისთვის რასაკვირველია, უსაზღვარო მალე გადასწყდეს აუცილებელი ბედის წერა. მაგრამ ძნელი საქმეა გამზედაობა, მთელი ქვეყნის წინაშე პასუხის-მგებლათ გამოსვლა.

აქტიური თავდაცვის წარმოება არ ხერხდება, თუ 1871 წელს საფრანგეთის პროლეტარიატი პრუსიის ლაშქარს თავგაწირვით ებრძოდა და პარიზს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა, რუსეთში ამის მსგავსი არაფერია.

რუსეთი შეშინებულია ზავის მოახლოებებით, ეშინიან ზავის კონტრიბუციი ეკონომიურ ბეგრის დადებასა და ეს შიში, როგორც ესთვით საფუძვლიანია.

ჭეშმარიტად მდგომარეობა კრიტიკული.

რუსული ᲗᲔᲛᲐ.

სკობელევის ნაკაზი

სკობელევის ნაკაზის შესახებ „დენი“ ამბობს, რომ ეს ნაკაზი კი არ არის არა მედ პროგრამტია ნაკაზის. „ნაკაზი“ გამოქვეყნდა დემოკრატიის მოულოდნელად. არც ერთ კრებაზე არ ეთქა ყირილობაზე სამშვიდობო პროგრამების პროგრამა არ განხილულა, და თითქმის გაზეთებში, რამოდენიმე საკითხები, წამოყენებული და დაკრძალ ნაკაზისგან არ ყოფილა ვიშუქებული ცენტრალურ ალმასურ. კომ. წევრებში გამოთქვეს თავიანთი პირადი მეხედულება რაც ეს მუხლები წამოაყენეს. კომიტეტის ორგანო მხოლოთ იმას აღარებს, რომ წამოყენებული მუხლებს იქ მყოფნი წევრები დაეთანხმენ. აქ უნდა ვსთქვათ რომ არც ერთი თანხმა, არც ყირილობას არ მიუნდეოთ ცენტრალური კომიტეტისთვის წამოაყენოს დემოკრატიის სახელით ზავის პლათფორმა. ამით დემოკრატიის ცენტრალური ორგანო დემოკრატიის პრინციპს ალღვევს. ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ცენტრალური კომიტეტი არ გრძნობდეს ზავის პლათფორმის დიად მნიშვნელობას და რომ ამ ნაკერ ოგრძნოს, რომ ზავისპლათფორმა მათ კომპეტენციას არ შეადგენს. ნაკაზი ვერ იამყოს მით რომ ის იყოს გამომხატველი მთელი დემოკრატიის სურვილებისა რადგან ის მხოლოთ საბჭოებისგან არი შემუშავებული. დემოკრატიული თათბირის შემდეგ უცნაურია იმის გამეორება რომ საბჭოები მთელი დემოკრატიის სახელით ვერაფერს ვამოსთქვამენ. ჩვენ წინადმდეგიკარ, რომ ნაკაზმა ზაგის პლათფორმის უფლებები მიიკისრა. როგორც ეს პლათფორმა უნდა გამოიენახა ძველ დემოკრატიას აგრეთვე დელეგატიც მას უნდა აძოეროს. ამისთვის ცალკე კრება უნდა მოწვეულიყო ან და რესპუბლიკის საბჭოს დემოკრატიულ ნაწილს უდა ეკისრნა. ყველა დემოკრატიულ პეტკითი ორგანოებმა თავიანთი აზრი უნდა გამოთქვას ამის შესახებ-დაასკვნის გაბეთი.

რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

ოქტომბრის 16 სხდომა.

პეტროგრადი. ოქტომბრის 16. სხდომა დაიწყო 11 საათზე და 50 წუთზე. თავმჯდომარეობს **ავქსენტიევი**, რომელსაც კამათის დროს პეშხონოვი სკვლის. განსახილველია დროებით მთავრობის ცნობა სახელმწიფოს დაცვის შესახებ. ილაპარაკენ: მურალოვიჩმა, მემშევიკი ვლუხია წარმომადგენელმა ბარუ, ბუნდისტების წარმომადგენელმა -ერლიხმა, მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერმა საბლინმა, ორენბურგის ყაზახთა ჯარის წარმომადგენელმა დუტოვმა და ჯარისკაცთა ჯგუფის წარმომადგენელმა. პირველი საათზე სხდომა შესწყდა. დასვენება 10 წუთით გამოცხადდა.

მურალოვიჩის სიტყვა.

მუშრამელ ინტელიგენციის საბჭოთა წარმომადგენელ მურალოვიჩის სიტყვით, რუსეთი ისეთ მდგომარეობაშია, რომ თავდაცვის გეგმებზე კრინტის დაძვრაც არ შეიძლება. რუსეთის ალსადგენად საჭიროა არა სიტყვები, არამედ საქმე. დროა გადედულად მოვითხოვოთ, რომ ძალა მთავრობას დაემორჩილოს. ეხლა რუსეთში სრული უმორჩილობაა, ამიტომ ხალხი შეეშალდადებს დროებით მთავრობას „ალღვმალი, წადი და ებრძოლე მტერს“. იგი ხმალი მარტო ომისთვის კი არ იქნება ამოწვდილი, არამედ მართალ-მსჯულობისათვის.

ვოევოდინის სიტყვა.

მემამულე გლეხთა წარმომადგენელი ვოევოდინი ალნიშნავს, რომ სამშობლოს დიდი საფრთხე მოელის. იგი მოუწოდებს: შეხწყვიტეთ პარტიული ბრძოლა, ისევნით სამშობლო. გაკიცხეთ როგორც მოლალატენი, ისე ის, ვინც შეეფრთხა-შეკავშირებაში ხელს გიშლით. ორატორის აზრით, ასეთი ხელის შემშლელი მოღალატენი არიან ცემერკალდელები, კერძოდ კი ლენინი, რომლებიც ციხეში არიან გაკეთები-შეჩვენებისა.

ბარუს სიტყვა.

ებრაელთა მუშათა პარტიის პროლეტიორიონის წარმომადგენელი ბარუ ალნიშნავს, რომ, რუსეთის რევოლუციამ სხვა ერებთან შედარებით ებრაელებს უფრო მეტი სიკეთე მოანეჭა. მაგრამ რევოლუციის პირველ თვეებშივე ებრაელებმა რუსეთში კვლავ ცუდად იგრძნეს თავი, მათ ცხოვრებაში კვლავ უწესოებამ იჩინა ალი. რაც შეეხება გოლდშტეინის მტაცებას ვითომც ებრაელთა შორის ინტერნაციონალისტები არ იყვნენ -სიმართლესთან მოკლებული. 1915 წელში კი, მხოლოდ ებრაელ მუშათა ცალკე პარტიებმა დაიჭირეს მხარი ციმერვალდიზმს. ახლა რევოლუციის 6 თვის შემდეგ, ებრაელთა ყველა სოციალისტური პარტიები მხარს უჭერენ ინტერნაციონალიზმს. ეს არ არის სამშობლოს ურაყოფა, არამედ იგი დემოკრატიულ სამშობლოს მიღებაა.

ერლიხის სიტყვა.

ბუნდისტი ერლიხი გულისწყრომას გამოსთქვამს გოლდშტეინის სიტყვის გამო. ორატორი ალნიშნავს, რომ ებრაელები მეტად ეპირნახული ერია და ეკულტურნასნი. ამიტომ არ შეიძლება მათ უფორმო ბასს უწოდოთ, როგორც ეს გოლდშტეინმა მოისურვა. ბუნდმა ნათლად დამტკიცა რუსეთის კავშირი და მეტი აქ სამშობლოს სიყვარულზე ლაპარაკი. ამ პარტიას არავისთვის არ დაუვალებია ისეთი განცხადებები შემოეტანა, როგორც გოლდშტეინს. (ტაში).

საბლინის სიტყვა

მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენელი საბლინი ალნიშნავს, რომ რუსეთის რევოლუცია პარისპირ მიადგა საფრთხეს. ლაშქარი მტერს წინააღმდეგობას ვერ უწევს. რევოლუციის განსამტკიცებლად კი დროებითი მთავრობა ვერც ერთ რადიკალ ღონისძიებისთვის ვერ მიუმართნია: მიწა ძველებურად მემამულეთა ხელშია, ფაბრიკა-ქარხნები მრეწველთა და კაპიტალისტების ხელშია რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მას სრულებით არ ახმიანებს რევოლუციური რუსეთის სურვილები. ორატორი მოითხოვს ერთფეროვან რევოლუციურ მთავრობის შექმნას. მხოლოდ მიწის დაუყოვნებლივ საჯაგლმამულო კომიტეტების ხელში გადაცემა და ყველა ფრონტებზე შერიგება ისსნის რევოლუციას ახალ ქუჩაბლანდიდან. (ტაში მარცხნივ).

დუტოვის სიტყვა.

ორენბურგის ყაზახთა ჯარის წარმომადგენელი ატაშანი დუტოვი აცხადებს, რომ ჯარი აეგვეკვის სიტყვას სრული კმაყოფილებით შეხვდა. დუტოვი მოითხოვს ოფლაშქარში დისციპლინის აღდგენას. მაგრამ ეს (ტოპა, საჭიროა, რომ ლაშქარი შეგნებული იყოს. რომ ორენბურგის ყაზახთა ნდობით ეპყრობოდა თავის ჯარის უფროსებს, იქიდანა სჩანს, რომ რუსეთ-ბლიკის საბჭოში საგანგებოდ ოფიცრები აარჩიეს. ჯარისთვის ტანსაცმოსს დამზადებას შესახებ ორატორმა სთქვა, ორენბურგის ყაზახთამან თვით დაუშვა ტანსაცმოსი თავის ჯარისა. ორატორის სიტყვით ყაზახთას სავსებით მიუღიათ მოსკოვის თათბირზე მიღებული კალენდინის დეკლარაცია. (ტაში მარჯვნივ).

სმელიაკოვის სიტყვა.

ჯარისკაცთა კოლეხის ერთი ჯგუფის სახელით სმელიაკოვისა ამბობს: ჯარისკაცთა ცოლებს დახმარება უნდა გაეწიოთ კეცონ, სიძველის გამო მათთვის გადადებული კერძი არა ჰყოფნით და მთავრობა მოვალეა მათი მდგომარეობა გაუმჯობესოს.

ვერდერევსკის სიტყვა

საბჭოს წევრმა სავიჩმა სთქვა, რომ მე ოპტიმისტური აზრი გამოვსთქვი ფლოტის მდგომარეობის შესახებ და ვითომ დისციპლინის აღსადგენად მან�ოლოგისებული ზომა წამომეყენებინოს, დისციპლინა მართალია დარღვეულია, მაგრამ სალერჩობელ-ბოთ ვერ ავადგენთ ჯარში და ფლოტში დისციპლინა სამშობლოს დაცვისადმი მომართული ხალხის ნებისყოფის შედეგი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში კი შეურყეველი უნდა დარჩეს ის ფორმული, რომ ჯარმა სამხედრო ბრძანებები უნდა ასრულოს არა შიშით, არამედ საკუთარი სინდისის მოთხოვნილებით. თუ დისციპლინას შიშზე დაამყარებთ, მაშინ ამ ფორმულის მეორე ნაწილი უნდა გაუქმდეს. ხმებში მარცხნიდან.... მართალია“. შიშზე დისციპლინის დამყარება იმის ნაშნავს, რომ ასეთის დისციპლინის დამყარება ღირსი არ არის ხალხის ნდობისა (მარცხნიდან ტაში და ხმები: „მართალია“). ვერდერევი ალნიშნავს, რომ რევოლუციის დასაწყისში ჯარსა და ფლოტში გაჩქარ სამშობლოს შეგნება, რამაც ყოველს უნდა გაიღებინოს მსჯელობელი.

სამხედრო დისციპლანა

მაშინდელ სამხედრო მინისტრს გუჩკოვს მივუთითეთ, რომ ძველი რეჟიმის დროსვე დარღვეულ ნამდვილ დისციპლინის დამასუსტებელ პრუსიულ მკაცრი დისციპლინის დარღვევის შემდეგ ეურაკელი უბედურება მოსალოდნელი. გუჩკოვმა პესიმისტობა დამშა და მითხრა, ფლოტზეა მაგრე აწეწილი საქმე, თორემ ჯარის მდგომარეობა ამ მხრივ ჩინებულიაო. მე კი ვიცი, რომ ჯარშიც ცუდად იყო ამ მხრივ საქმე. დ (ციპლინის აღსადგენად საჭიროა ხალხმა დაუშტაკოს ჯარს თავის მისდამი სიყვარული, რომ იგი მზადაა მსჯელობლის გასალებად.

„იმდენად რამდენადაც“..

საეჭი უფროსთან დემაგოგიაზე ლაპარაკობს. ზოგიდაწინაურებულ პირებს საიეჩი სწამებს დემაგოგიას და რაღაც მაგნე დოკუმენტის შედგენაა, ეს, სიცრუეა—მარტში დეპუტატთა საბჭოებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „იმდენად, რამდენადაც“. ისეთი მდგომარეობა დამკარდა, რომ უფროსების განკარგულებას არ ასრულებდნენ, ვიდრე განკარგულების საკნის შესახებ დეპუტატთა საბჭოების კონტრ-განკარგულება არ მოვიდოდა. ამნაირად, ყოველ განკარგულებაზე ჯერ ითათბირებდნენ და შემდეგ ისე შეუდგებოდნენ მის შესრულებას.

ორი მთავრობა.

ამიტომ მე, ადმირალმა პილკინმა, პირველი ბრიგადის ბრიგადის ბრიგადა კაპიტანმა შეპელევმა დეპეშით განვუმარტეთ გუჩკოვს. რომ ორ მართველობა ჯარის ხელმძღვანელთა პრესტიჟს სცემს, ხელს უწყობს სამხედრო დისციპლინის დამბობას და ფლოტს (რომელს უნარის სამხედრო მოქმედებისა. რომ უბედურობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ერთ მართველობის აღდგენა ცენტრში.

ჯარი და პარტიები.

დასასრულ ვერდერევსკი ამტკიცებს რომ ჯარი ერთია და მთავრობა მეორე. ჯარის სამეფოთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ამ მოვლენას, თუ რომელი პარტია ედგომება სათავეში დრ. მთავრობას. ჯარმა მხოლოდ ერთი უნდა იცოდეს:— თუ ძალერი მთავრობა არ გვეყოლება, მაშინ სახალხო საქმე დაიღუბება.

საეჩის შეკამათება.

სამხედრო მინისტრის საწინაღმდეგოდ საეჩი გამოდის, რომელიც ამტკიცებს, რომ დისციპლინის აღსადგენად საჭიროა საერთო პოლიტიკა, განსაზღვრული სისტემა. საეჩი ალნიშნავს, რომ თვით სამინისტროშიაც ორ-მართველობას აქვს ადგილი. ორატორის შეხედულებით ასეთი მდგომარეობა საქმეს აროუღებს და სრულებით არ ემსახურება დისციპლინის აღდგენას. საეჩი ალნიშნავს, რომ ცენტრის პრძანებას ბრძანდ ანგარიშს არ უწევენ. ადგილებზე მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს ეგორჩილებიან, აქედან აშკარაა, თუ ვის ხელში უნდა იყოს ძალა. საეჩის წინააღმდეგ კვლავ საზღვაო მინისტრი ვერდერევსკი ლაპარაკობს, რომელიც ალნიშნავს, რომ ცენტრი ფლოტი მისთვის ძვირფასია. (ტაში). შემდეგ ვერდერევსკი ამბობს:—საბჭოს წევრნი, მტაცებს რა იმას, რასაც ადგილი არ ქონია. ჩვენ გვიწევეს საბრძოლველად (ტაშ.) რომ ყველაფერი აშკარა იყოს, მე ვსთხო საბჭოს სათათბიროს წევრს ვეკითეს, რომელიც აჯანყების დროს რეველში იყო, განაცხადოს, გვკვირთ თუ არ ჩვენ დემაგოგებს. სხდომა სწყდება.

საღამოს სხდომა

4 ს. და 15 წამს სხდომის განახლებისას მინისტრთა ლოჟაში დროებითი მთავრობის წევრები სხვდან კონოვალოვის მეთაურობით. დიპლომატთა ლოჟაში—ყველა ელჩები. ბეჭდვთ სიტყვისა და ხალხის ლოჟები გაკსილია. თავმჯდომარეობს აქსენტიევი რომელიც წინადადებას იძლევა, შესწყდეს მთავრობის მოხსენება სახელმწიფოს თავდაცვის მდგომარეობის შესახებ და მოისმინონ გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენება. წინადადება სხდომამ მიიღო. ერთ საათზე მეტს ლაპარაკობს ტერეშჩენკო, რომლის სიტყვის შესახებაც, დადგინეს, მორიგ სხდომაზე ისმეოს.

რევოლუციის ამბები.

Ჯ. Დ. Ს.

დეპეშები.

საბჭოთა ყირილობის გარშემო

სამარა. ოქტომ. 16. ჯარისკაცთა დეპუტატების სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერმა და მენშევიკმა უარი განაცხადეს საბჭოთა ყირილობაზე წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ. ბოლშევიკებმა თავიანთი კანდიდატები აირჩიეს.

კრებების აკრძალვა ქუჩებში.

პეტერგრადი. ოქტომბერს 16 პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსმა შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა. „პეტროგრადში შეიარაღებულ გამოსვლების შესახებ მეტად გაბშირდა ხმები. გამოსვლები დიდი უბედურება მოჰყვება დემოკრატიისათვის. იგი თავის-უფალ რუსეთს დაღუპავს. გახსოვდეთ მოქალაქენო, რომ ასეთ გამოსვლებს, კონტრ-რევოლუციური მოძრაობა მოჰყვება. მოგიწოდებთ სიწყნარი დასაცავად და გაგონებთ, რომ დროებით მთავრობის დადგენილება პეტროგრადის ქუჩებში მიტინგებისა და კრებების აკრძალვის შესახებ—დაუყოვნებლივ ასრულოთ გაფრთხილებთ წესრიგის დამრღვევლების წინააღმდეგ უკიდურესი ზომები იქნება მიღებული.

ბრძანება პეტროგრადის ჯარს

პეტროგრადი. ოქტომ. 16. პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსმა ოქტომბრის 15-ს შემდეგი ბრძანება გამოსცა ჯარისადმი. კვლავ მზადდება უპასუხისმგებელო შეიარაღებული გამოსვლა პეტროგრადის ქუჩებში. ეს გამოსვლები ანარქიის გამოძახილი იქნება და აუცილებელია მსჯელობლი, რაც სამშობლოს უფაროსოს პირას მიიყვანს. ვინც ამ მძიმე დროს ხალხს სამოქალაქო ომისთვის მოუწოდებს, იგი ან უკაკუ და ბრმად ჩაითვლება, ან და ვალტელის საქმეგამოყოფილ მომშეადეს. ყველი ჩემს მორჩილ ნაწილებს, ოფიცრებს და ჯარის კაცებს ეუბრძანებ გამოსასვლელად მოწოდებას ყური არ ათხოვონ. ჯარის კაცნო და ოფიცრებო. გახსოვდეთ თქვენი პასუხისმგებლობა მთელ დემოკრატიისა და თავისუფალ რუსეთის წინაშე.

მდგომარეობა ფეოდოსიაში

ფეოდოსია. ოქტ. 16. უწესრიგება უსისხლოდ დასრულდა. გაბატონებული ლეონი და ნიუოები შეპყრობილ ბალშევიკებს ნ. მოიოთვეს. ქალაქში სიწყნარეა.

მსოფლიო ომი.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 15.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

ᲐᲦᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ.

პეტროგრადი. ოქტომბერი 15. ... ციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** ზღვის პირის მიმართულებით მტერმა იალუნბეგმეს რაიონს ქიმიური ყუმბარები დაუშინა. 15 საათზე მტერმა შემოტევა დაიწყო, მაგრამ ჩვენ ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით უკან დავახევინეთ. როგორ მიმართულებით სოფელ სკოულის ოაიონში დილიდან დაწყებული სალამოს 8 საათამდე მტერი მძიმე არტილერიას ამოქმედებდა. შემოტევის ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ. დანარჩენს ფრონტზე სრულაა. განსაკუთრებით კი კრასნაჟუზენისა და შტოკმანოფის რაიონში.

დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები. სროლა და მზეერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ფრონტები. არსებითი არა არის რა.

ბალტიის ზღვა. მდგომარეობა უცვლელია.

უკანასკნელი დეპეშები.

პეტროგრადის ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ ქალაქი სურსათის მხრით კრიზისს განიცდისო.

პეტროგრადში ტრამვაის ტარიფი 20 კაპ. გაადიდეს; ჯარის-კაცებმა 5 კაპ. უნდა იხადონ.

„რუსკია ვოლია“ იმედოვნებს, რომ იტალიის ჯარში სამამარი უნარი ძლიერ ამაღლებულია და გმირულად შესვდება ყოველგ განცდებსო.

„ვეჩ. ვრ.“ და „რუს. ვოლია“ ეხებიან გერმანელ-ავსტრიელთა შეტევას იტალეთის ფრონტზე. პირველი ამბობს: „გერმანელები სრულიად ძალდაუტანებლივ ხელში იგდებენ ევროპის ყველა სარკმლებს და ამით ეწრაფვიან გერმანელთა სასარგებლო ზავის ჩამოგდებას, რაზედაც ასე რიგად ჰყვირიან ჩვენებური პაციფისტები. ეს უკანასკნელნი დაბრალვებულნან და ვერ ხედავენ, რომ ამით ზავის საკითხს უფრო აკრძალვენენ ვიდრე აჩქარებენ“. მეორე გაზეთი კი იმედს გამოსთქვამს, იტალიელები ჯერ სულიან არ დაცემულნ. და ადფრთოვანებულნი არიან ყოველ ძმიმე განცდის მამაცურად შეხვდნენო.

დროებით მთავრობამდის მოაღწია ამბავმა, რომ მთავარი სეკრეტარიატი მოწაწიოლოს მიიღებს ეკრანინგლთა სეპარატიულ დამფუძნებელ კრებაში. დროებით მთავრობამ გაიწია გინაჩენკო ვითარების გამოსარკვევად, ამასთანავე აჩერებს 300 ათას ბან. სეკრეტარიატის გარდასაცემად.

დამფუძნებელი პრეგის გარშემო

გუშინ შესწყდა ამომრჩეველთა სიაში ჩაწერა.

დამფუძნებელი კრების არჩევნები დაიწყება ვიორგობისთვის 12-ს და 7 დღეს გასტანს, ე. ი. ვიორგობისთვის 18 მდე გაგრძელდება. საარჩევნო ბიულეტენებზე არა მარტო მორიგი ნომერი იქნება აღნიშნული, არამედ კანდიდატთა ვინაობაც. თბილისი 30 საარჩევნო უბნად დაიყოფება. მუსულმანთა რაიონებში ქალებისათვის ყველგან ცალკე იქნება საარჩევნო ბინა. თანახმად სამხედრო მინისტრის დადგენილებისა, კავკასიის მხედართა უფროსმა გენერალმა პრეგეგოლსკიმ, ფრონტის სამხედრო კომისარიათან შეთანხმებით ნება დართო ფრონტებზე ჯარისკაცთა ერეოგნულ კრებების მოწვევისა დამფუძნებელ კრების საარჩევნო საქმეებზე სათათბიროდ, მაგრამ იმ პირობებით, რომ კრებებმა ხელი არ შეუშლონ სამხედრო ოპერაციებს.

მოსკოვის კანდიდატები დამფუძნებელ კრებაზე მოსკოვში სხვა და სხვა პარტიებმა უკვე წამოაყენეს თავიანთი გასაგზავნად, **სახალხო სოციალისტებმა** შემდეგი გამოაქვეყნეს: ფილატიევი, მელგუნოვი ალეკსანესკი, ვოლკ კარაჩევსკი, ტიტოვი და ორდინსკი.

სოციალისტ-რევოლუციონერებმა: ქალაქისთვის რუდნეკი მინორი, მუშა მოროზოვი, რაზენერი, დინილოვი, ᲨᲣᲑᲘᲜᲙᲝᲕᲘ, ულიანოვი და სხვანი.

„ედინსტვა“-ს ᲧᲐᲜᲣᲠᲘ გადასწყვეტილ ᲑᲠᲝᲙᲝᲠᲘ შეეკრას ყველა ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ და შრომის ორგანიზაციებს, როგორებიც არიან: მუშრომელი ინტელიგენცია, სახალხო სოციალისტთა პარტია და სხვა. საქმე მხოლოდ ის არის, რომ „ედინსტვა“-ს ᲧᲐᲜᲣᲠᲘ ᲑᲠᲝᲙᲘᲡ აუცილებელ პირობად აყენებს, რომ ᲑᲠᲝᲙᲘᲡ ᲜᲘᲜᲘᲡ პირველ რიგში იქნეს მოთავსებული.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ.

საგუბერნიო ყრილობის მოწვევა. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტმა დადგინა ამა თვის 28 კ. ქუთაისში მოიწვიოს საგუბერნიო პარტიული ყრილობა. ყრილობის მოგავარი მიზანია დასავლეთ საქართველოს პარტიული ორგანიზაციებთან მტკიცე კავშირის დამყარება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომპანიისთვის სამზადისი. ტაქტიკა და სხვა.

პროვინციალ ორგანიზაციებს უკვე დაუგზავნათ მიწვევის ბარათები დაწვრილებით თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

მასწავლებელთა კრება. 22 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე ქუთაისის მეორე გიმნაზიის დარბაზში მოხდება დასავლეთ-საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება შემდეგი კითხვების გასარჩევად:—1) არჩევა ახალი გამგეობისა თანამამა კავშირის წესდებისა, 2) მოხსენება საარეგიზო კომისიისა და 3) მიმდინარე საქმეები.

დამფუძნებელ კრებისათვის. დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობი ცენტრალური კომისია ქალაქის თვითმართველობას დეპეშით სთხოვს, გამოაცხადოს შემდეგი: ამომრჩეველთა სიები გამოქვეყნებული უნდა იქნეს არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა, 21-დან 27 ოქტომბრამდის არჩევნების მომწყობმა ქალაქის კომისიამ უნდა მიიღოს სხვა და სხვა განცხადებები სიების არა სისწორისა, თუ არა სისრულის შესახებ, 28-დან 30 ოქტომბრამდე კომისია განიხილავს აღძრულ საჩივრებს, 31 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდის მოქალაქეთ ნება ეძლევათ საოლქო სასამართლოში გასაჩივრონ საარჩევნო კომისიის დადგენილებანი, 4 დან 6 ნოემბრამდის საოლქო სასამართლო განიხილავს აღძრულ საჩივრებს, 7 დან 11 ნოემბრამდის ამომრჩეველს უფლება ეძლევათ კვლავ გადახედონ საარჩევნო სიები.

ახალი პიესა. ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოებამ ამ სეზონის რეპერტუარში შეიტანა ია ეკალაძის პიესა: „№ 21 ᲧᲐᲠᲘᲜᲘ“. შინაარსი პიესისა აღებული ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ და შიგ დახასიათებულია ᲧᲐᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲑᲐᲚᲓᲐᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ. ქუთაისის ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲡ კომიტეტის გამგეობა სთხოვს სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარეს, შეატყობინოს, როდის შეიძლება პირობების დადება ᲑᲐᲚᲓᲐᲗᲘᲡ რკინის გზის გაყვანის შესახებ.

ᲘᲣᲚᲘᲓᲔᲑᲐ შემოხვედვით ᲑᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡ თავის მოწყობილობით, ᲑᲔᲚᲛᲘᲡᲬᲘᲤᲓᲔᲛᲘ ფასით. მსურველს შეუძლია მიმართოს წერა-კითხვის საზოგადოების სტამბაში ნიკოლოზ მალანიას.

დეპეშა სამხედრო ტყვეებისათვის. ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრო სამხედრო ტყვეთა ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘ საინფორმაციო ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ატყობინებს ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 19-დან ᲰᲔᲜᲔᲒᲠᲘᲐᲨᲘ მყოფ ტყვეთათვის ადასაცემად კვლავ მიიღება ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲜᲐᲠᲩᲘᲠᲘ და ფას გადახდილ პასუხიანი დეპეშები, რომლებიც შეეცალიდან ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ გადაეკეთა. დეპეშების ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ უნდი იყოს: „ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲜ ᲑᲝᲚᲝᲕᲔ ᲠᲐᲓᲘᲝᲗ“. ᲐᲛᲘᲡ შემდეგ მიმართი, დეპეშები ᲑᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲠᲘᲚᲘᲗ უნდა იყოს. ᲐᲓᲠᲘᲡᲘᲗ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ 25 კაპ. ფინლიანდიაში 32 პენსის. ტექსტის თითო სიტყვაში—48 კაპ., ფინლიანდიაში—63½ პენნის. დეპეშა უნდა დაიწეროს ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენებზე მისამართში აღნიშნული უნდა იყოს „ᲞᲠᲘᲖᲝᲜ-ᲘᲜᲓᲘᲐᲜ“ ან და „ᲙᲠᲘᲒᲘᲜᲒᲐᲜᲓ“ თუ არა და შემოაკლეთ: „ᲒᲒ.“ ან „ᲙᲒ.“

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ენისეთ ყოფილმა ეპისკოპოსმა ბეზმენოვმა სარწმუნოების მინისტრს კორტაშევს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

საეჭოა დაუყოვნებლივ განიხილეთ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲥᲛᲔᲑᲘᲡ სემინარიაში და სხვა სასწავლებლებში ნაციონალიზაცია, რეგულაციის შემდეგ უგზურებას, სირცხვილია, რუსუბლიკურ მთავრობის ნამდვილ თავისმოკვრაა, რომ ძველი რეჟიმის მეთოდებით ხელმძღვანელობს. სულ ერთია, სამართლიანობა თავისას იზამს, უნებურად ფაქტად იქცევა სკოლის გაეროვნების საქმე და დღევანდელი საქციელი კი ჩამოურეცხელ ლაქად დარჩება...

სამხედრო სამინისტრო ხელოსნად გაპოსცა განკარგულება, რომლის ძალით ის სახალხო მასწავლებლები, რომელნიც ამ ᲓᲐᲛᲐᲗ ᲧᲐᲠᲨᲘ იმყოფებიან განსაკუთრებულ განკარგულებამდის განთავისუფლებული არ იქნებიან.

პირველი უსაპრიოსი საქონლისა და სანოვაგის აღმწერი და გამნაწილებელი კომისია სთხოვს გუბერნიის კომისიას ᲗᲥ. გიორგაძეს, რომ არავის მისცეს მოწმობები სხვა და სხვა საქონლისა თუ სანოვაგის შეძენის შესახებ და ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲠᲘ ᲛᲮᲠᲔᲜᲘᲡ ᲐᲛᲘᲡ შესახებ გაუგზავნოს მას.

ფულის გაგზავნა. დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობმა ქუთაისის საგუბერნიო კომისიამ ყველა მაზრების საამომრჩეველო კომისიებს დაუგზავნა ოქროები ათასი მანეთი არჩევნებისთვის გაწეული ხარჯების დასაფარავად. სულ გაგზავნილ იქმნა 14,000 მანეთი.

მილიციის ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘ. გუბერნიის კომისიას მოუვიდა ბრძანება სამხედრო მინისტრისა, სადაც ნათქვამია, რომ მილიცია უნდა შედგენილ იქმნეს განსაკუთრებით იმ ᲧᲐᲠᲘᲡ კაცებისაგან, რომელნიც დაჭრილნი არიან ᲝᲠᲜᲯᲘ მიინცა თუ ამ ᲧᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ მილიციაში სამსახურის დროს რაიმე ᲑᲝᲠᲝᲢᲘᲡ ᲩᲐᲠᲓᲘᲜᲣᲚᲘ დაუყონებლივ გაგზავნილი იქნებიან ფრონტზე.

სურსათის მილება. ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო 2 ვაგონი სიმინდი, ერთი ვაგონი პურის ფქვილი და 12 საქონი შეშა. ფქვილი და სიმინდი გადაეცა ქალაქის სასურსათო კომიტეტს, ᲑᲝᲚᲝᲜ შეშა ქუთაისის გარნიზონს.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ. გუბერნიის კომისარმა გრ. გიორგაძეს და მოხელეთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგმა ფაბიკაძემ კავკასიის საქმეთა კომისრის ევანგულოვისგან დეპეშები მიიღეს, რომ დროებითმა მთავრობის დადგენილებით, 1 სექტემბრიდან ქუთაისის გუბერნიის და სუხუმის სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებს მიეცემათ დღიური, თანახმათ 1913 წლის 13 მარტის კანონისა.

გადმოხვეწილ აისორების შესახებ. ამას წინად გუბერნიის კომისარმა შეამდგომლობა აღძრა, რომ ქუთაისიდან გადაესახლებინათ ის გადმოხვეწილნი აისორები, რომელნიც მხოლოდ ქალაქში ატარებენ ცხოვრებას. ამის შესახებ გადმოხვეწილთა საქმეების მომწყობმა კავკასიის კომიტეტმა აცნობა გრ. გიორგაძეს, რომ ითვალეთ ეგონები და ყველა გადმოხვეწილები თვალეს გადმოგზავნეთო.

ᲪᲘᲮᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲡ თანამდებობა როგორც გადმოგვეცემენ ᲯᲔᲠ არ გაუქმებულა.

ᲮᲐᲠᲯᲗ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ, დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობმა ქუთაისის გუბერნიის კომისიამ თხოვნით მიმართა ყველა მაზრების საარჩევნო კომისიებს, რომ დაუყონებლივ გამოგზავნილ იქნეს არჩევნების ᲮᲐᲠᲯᲗ- აღრიცხვა.

ახალი ᲒᲐᲖᲗᲘᲗ თბილისში გამოვიდა პირველი ნუმერი ეროვნულ დემოკრატიული მიმართულებისა „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲠᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“.

გაბრიელის სახელობის ᲥᲐᲚᲗᲐ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ (ყოფილ საკეთილშობილო ᲥᲐᲚᲗᲐ საᲡᲬᲠᲐᲤᲚᲝ) სამეურნეოში ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲘᲗᲐᲠᲘ

რკინის გზის სადგური გაჭედილია ხალხით.

ჯარის კაცები ფანჯრებში მიძვრებიან?

სახურავზე ჭიანჭველების მსგავსად მიღოღავს ხალხი.

კარებში ხბაკები ყრია უპატრონოთ.

შესვლა-გამოსვლა ვაგონებში შეწყვეტილია.

ყველგან დაუსრულებელი კიჟინი, ხმა მაღალი ლაპარაკი უსიამოვნება.

მგზავრები ფუცა-ფუცებენ, დარბიან, ერთმანეთს ეჯახებიან.

წრიალის და მოუსვენრობის ჰაერდილი აშუქებს ყველას პირის სახეს...

მე კი ვდგავარ და შევყურებ ამ სურათს.

ჩემოდანი ხელში მიჭირავს.

მოხერხებულ შემოხვევას ველოდები.

ვაგონში შესვლას ვაპირებ.

დრო მიდის.

ხალხი კი თან და თან ემატება.

უცებ ვაგონიდან ნაცნობი ხმა მოგესმა.

— ივანე! ივანე!

ფანჯრიდან ჩემი ნაცნობი მეძახოდა.

— ადგილი არის თქვენს ვაგონში?!

გავექანე მისკენ და ქვევიდან შევძახე.

— არის, არის? როგორ არა!

ჩემოდანი მომეცით, მომეცით აქ!

სწრაფლ ჩემოდანი ფანჯარაში მივაწოდე.

მე კი გავექანე;

ხან ერთ კარებს მივადექი, ხან კიდევ მეორეს.

მაგრამ არსად, კიბეზე ფეხის დასადგმი თავისუფალი ადგილი არ იყო.

ამ დროს ზარიც დარეკეს.

კიდე მომესმა ხმა ფანჯრიდან.

— ივანე! ივანე!

აქ, აქ მობრძანდით!

მეძახოდა ჩემი ნაცნობი.

მივედი.

— აბა, ამოდით!

მითხრა და ფანჯრიდან სიშველად ხელი გადმომიწოდა.

მე გამეცინა და გაკვირებით ვკითხე.

— როგორ? მე? სტატსკი სოვეტნიკი? მოხუცებული კაცი? ფანჯარაში როგორ შემოვიდე?!

— მოდი, მოდი, ნუ გრცხვენია!

თორემ დარჩებით, სულ ერთია!

ამ დროს მესამეთ დარეკეს.

ახლა კი ვიკადრე.

ავხტენი, მაგრამ ფანჯარას ხელი დაბიელი და ისევ ჩამოვარდი. ტან-მძიმე გახლავართ. ჩემს დღეში ნალვარში არ გამხტარვარ!!

კიდევ ავხტენი..

ახლა კი ვიღაც მადლიანმა უნდოდან ხელი მკრა და ფანჯარაში ჯირკის მორიგით გამედა!.

დიდ-ხანს მუცელზე გადაწოლილი ვიყავი.

ნახეგარი ტანი კუპეში მქონდა, მეორე ნახეგარი კი გარეთ. ვერც შინ შემოვედი, ვეღარც გარეთ.

ღობეში გაკეხებული ძაღლის ადგომ მარეოა მომაგონდა.

მატარებელი დაინძრა.

მე კი ფანჯარაში ვარ გადებულ.

ფეხებს ვაქნევ ჰაერში და მთელი ტანი კუპესაკენ გადმოიძრა.

უცებ კიდევ მკრა ვიღაცამ ხელი და კუპეში უცნობ მგზავრების მუხლებზე თხლამანი გავდინე.

შეიქნა კუპეში კივილი, ხმაურობა.

ეროს შანდილოსანს გულიც კი წაუვიდა.

— უკაცრავად ბატონებო! ნაპატიევეთ!

მოვედი გონს და ბოდიშის ბოხდას შევუდექი. მაგრამ მას სიცილის მიზეზით შეწუხებია გული და არა შიშით.

ამ გვარად, დიდის ვაი ვაგლახით, ქალაქში მივედით.

აქაც ფანჯრიდან მოგვიხდა გადმოსვლა.

სადგოს რვა-თუ ცხრა საათი იქნებოდა.

მე გზას ვადექი და სასტუმროებში ბინას ვეძებდი.

სიარულზე დრო შეუმჩნეველად წასულიყო. ნაშუალამევის ორი საათი იყო და მე ისევ ქუჩაში ბინას ვეძებდი.

უცებ ერთ სასტუმროს კარების წინ გავჩერდი.

კარებიდან ვიღაც აფიცერი გამოვიდა. უკან მისი ხბაკები მოქონდათ.

— უკაცრავად!

ეგებ ოთახი დაცალეთ.

— დიახ!

ბინას დავეძებ! რვა საათიდან დაწყებული ვეძებ და ბინა ვერ ვიპოვე.

— მაშ, მობრძანდით!

მე დაბალ მეთორმეტე ნომერი. შეგიძლიათ დიაკავით!

— გმადლობთ!

ვეუხარი მადლობა და კარებში შევედი.

— გთხოვთ მეთორმეტე ნომერი მომეცეთ!

— მობრძანდით! ბედი გაქონიათ!

აი, ესეც არის დაცალა.

მითხრა ოთახის პატრონმა და მშვენიერ ოთახში შემიძღვა.

ჩემოდანი დავდეგი დაღლილ დაქანცული ლოგინზე გამოვიჭიმე და ღრმათ ამოვიხვნეშე

— ოოხ, ღმერთო ჩემო!

როგორ დავიტანჯე, დავიღალე დღეს!

უცებ ფიქრების ნისლში გავეხვიე.

ოცნებამ შორს გამიტაცა და მიმძინარებდა ყოველ. არც ბახდა, არც ოთახის ჩაკეტვა, სინათლის ჩაქრობა აზრათ არ მომსვლია.

თუმც მეძინა, მაგრამ სული მაინც შფოთავდა, არ ისვენებდა.

ძილში, ვითომ მოვკვდი კიდეც?.

აი, ჩამასვენეს კუბოში.

წინ ღვდელი მიმიძღვის, უკან კი ფუარეული ხალხი.

საზოგადო სასაფლაოზე უნდა დამასაფლაონ.

სასაფლავო ქვიტკირის ღობით არის შემოზღუდული.

ხალხი ერთი ჭიშკრით შედის და გამოდის.,

მიმასვენეს კარებთან.

ჭიკოცესია შეჩერდა.

— რა ამბავია?!

ისმის ხალხში.

— ჯერ ჩვენ არ გვიშვებენ!

— რატომ?

— მიტომ, რომ ბევრი ჯარის კაცია მკვდარი.

ჯერ ისინი უნდა დასაფლავონ, მერე კი თქვენო!

მოგვცეს პასუხი.

გავიგონე.. ძლიერ გამიკვირდა.

— ნუ თუ მიწაშიდაც „ოჩერედი“ უნდა ჩავიდეთ?

დავეკითხე ჩემს თავს და გამიმეორეს კიდეც. **თეოფ. ხუსკივაძე.**

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝ.

18 ოქტომბრის კრება.

კრებას 8 საათზე ხსნის გობეჩია. მდივანი კითხულობს წინა კრებების ოქმს კრება შესწორებით ოქმს ამტკიცებს. თავჯდომარე აცხადებს დღის წესრიგს. წესრიგში ხმ. გიორგაძეს შესწორება შეაქვს, რომ მოხსენებები ხმ. ურატაძისა დემოკრატიული თათბირის შესახებ. და მოხსენება ქალაქის „მოურავისა შემდეგ იქნეს გაკეთებული, თუ დრო დაგვრჩებოა. კრება იღებს ამ შესწორებას. ხმ. გიფრინდაშვილის წინადადებით ყოველი კრებაზე გაურჩეველი საკითხი შემდეგ კრებაზე პირველ რიგში უნდა იქნეს დაყენებულიო. კრება ამ წინადადებასაც იღებს. ამ რიგათ მორიგ საკითხთან ისმება ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინადადება, რომ „ქალაქის თვითმართველობამ ორი კაცი გაგზავნოს მათთან სალიკვიდაციოთ იმ საკითხებისა, რომლებსაც „დამოკიდებულება აქვს „პოგრომთან“. კრების უმრავლესობა გამორკვეული არ არის ამ საკითხში და ახსნას მოითხოვს.

ქალაქის მოურავი; მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ყველა რევოლუციურ დაწესებულებებიდან წარმომადგენლები დაიბარა, რათა მათთან ერთათ მოხდეს გაყიდვა იმ საქონლისა, რომელიც წართმეულ იქნა მტაცებლებიდან და რომელიც დღეს დღეობით საბაჟოში ინახება. თუ დაუყოვნებლივ არ მოხდა მათი გაყიდვას-გვატყობიებს საბჭო-აუცილებლივ კიდევ მოხდება უსიამოვნო შემოხვევა ამ ნიადაგზე. ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ ის საქონელი აუცილებლივ უნდა გაიყიდოს, მაგრამ ვინ გაყიდოს? რა ფასებში გაყიდოს? ფული ვის გადაეცეს? ამაზე ლაპარაკი არ გვქონია. ჩემი აზრით იმ საქონლის ფული, რომლის პატრონიც ვიცით, აუცილებლივ პატრონს უნდა გადაეცეს. ეი ამ საკითხებისთვის გაგვიწვია მ. და ჯ. კ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რადგან ჩვენ გამგეობაში მარტო 4 კაცი ვართ ერთის მეტი ვერ გაგზავნეთ დღევანდელ კრებაზე, აწი კი თვითნართველობამ 2 კაცი უნდა გაგზავნოს.

ხმ. ბელესანი: შეიძლებელი იყო გამგეობას, თუ თავის შემადგენლობაში არ ყავდა ის ორი კაცი, რომელიც აღმასრულებელმა კომიტეტმა მოითხოვა, კანცელარიიდან გაგეგზავნათ და რადგან დრო მათ მეტი აქვთ, გაყიდეს საკითხსაც უკეთ გაუძღვებოდენ.

ქ. მოურავი: კანცელარიიდან ხალხს ჩვენ პრინციპიალური საკითხების გადაწყვეტას ვერ მივანდობთ.

კრება გამორკვეულათ თვლის საკითხს ასახელებენ კანდიდატებით თეოდორაძეს და ელიგულაშვილს. კრება ამტკიცებს ამას.

ქ—ს მოურავი: ამ საკითხს დამოკიდებულება აქვს იმ კომისიების საკითხთან, რომლებიც ეხლა ქალაქში საქონლებს აფასებენ სარეკვიზიციოო, ამიტომ ამ ორმა ხმოსანმა ამ კომისიაშიაც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ი **თევზაძე:** არჩეული ხმოსნები ხვალ სასურსათო კომიტეტში უნდა გამოცხადდენ.

ხმ. გაფრინდაშვილი: მე თქვენი უურადღება უნდა მივაქცეო ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობის თითქმის ქალაქის ბაღშიადაც კი აუტანელი სიბინძურეა. ამიტომ, მე როგორც ხმოსანი, სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოვითხოვ.

ქ-ის მოურავი: მართალია, ბატონებო, ქალაქში დიდი უსუფთაობა არის სანიტარულ პირობების შესაქმნელად ქალაქში მუშებიც ცოტა იყო, ცოცხები არ ქონდათ, ცხენები სუსტი არიან თივის უქონლობის გამო, ტაჩკები არ უვარგათ. ჩვენ აუცილებლივ საკუთარი სამეფლო უნდა მოვაწყოთ ეკიპლის მქრობელი რაზმის ეზოში და დაქირავებული უნდა გვყავდეს მეეფლე და თითო სხვა მოხელე. ამისთვის ფულია საჭირო, შემდეგ კი ეს სახითხი მოგვარდება.

ვ. წერეთელი: სანიტარული კომისია, რომელიც ქალაქსაბჭოს, ძალიან ცოტა დახმარებას გვაძლევს ამ საქმის გაუმჯობესებაში.

შემდეგ საკითხია, მოხსენება სამილიციო ხარჯების შესახებ. კრება ამ მოხსენებას ამტკიცებს. მორიგი საკითხი ნაკაზის განხილვისა გადადებულ იქნა, რადგან ჯერ ნაკაზი ქართულაო არ დაბეჭდილა, თუმც გადათარგმნილი კი ყოფილა.

შეშის კრიზისის საკითხი.

ხმ. გრიგოლია აკეთებს ამ საკითხზე მოხსენებას, რომელიც აღნიშნავს ქალაქის დასაკმაყოფილებლათ საჭიროა რკინის გზით 3000 საჟენის შემოტანა. ამას უნდა დაემატოს ის შეშა, რომელიც ურმებით შემოაქვსთ ბაზარში. შეშა სჭირდება აგრეთვე ჯარს. ამ ქამათ დამზადებულია 1/3 ომასა, რაც მზადდებოდა. ეს შეშა ქუთაისს ეყოფა მაგრამ, თბილისი და სხვა ქალაქებიც უნდა დაკმაყოფილოთ ცოტათი მაინც; თუ სულ არა, რადგან ამდენს ხანს უგზავნიდით. შეშის დასამზადებლათ საჭირო იყო მუშები. ჩვენ მოვითხოვეთ ჯარისკაცები სამუშაოთათ აქ სამეშე ნება დაგვრთო, მაგრამ შტაბმა უარი გვითხრა. შემდეგ დავიქირავეთ კერძო მუშები, რომლებიც ეხლა მუშაობენ. საქმე ისეა მოგვარებული, რომ ჩვენგან ნება დაუთავეთლათ შეშას ქუთაისიდან ვერავინ გაიტანს. 1 ოქტომბრისთვის ჩვენ 2000 საჟენი დამზადებული გვქონდა და პირრიბა სხვებთან შეკრული კიდევ დასამზადებლათ. თუ ვერ ჩამოვიტანეთ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ვაგონები არ გვქონდა. ეხლა ჯარის გადაყვანისთვის საჭიროა ეგზონები და ჩვენც ძალათ ვმოულობდით. ჩვენ ეთხოვეთ, მოეცათ ჩვენთვის 20 ეგზონი და მოგვცეს ერთგვარი იაშიკები, რომლებიც ჩვენ ვაგონებით გადავაკეთეთ, ისე რომ საკუთარი ვაგონები ყოველ დღე ჩამოდის 15-10. აგრეთვე რკინის გზის ვაგონებს ვმოულობთ 10-15 დღეში, და ასე ამ რიგათ ქალაქს კრიზისი ასცდება.

გველესიანი: თქვენ ამ მოკლე დროში გვპირდებით დაკმაყოფილებას. არ შეიძლება გაგიგონო თუ როდის იქნება ეს მოკლე დრო? მე გეკითხებით, სადგურიდან ჩვენ უნდა ვიზრუნოთ გადმოსატანთან, თუ ქალაქის იქნება ურმები. ეს თუ ჩვენზე იქნა დამოიკიდებული, ძალიერ ძვირად დადგებოდა.

გრიგოლია: (უპასუხებს) ჩვენ ყოველ დღე ვეხებავთ შეშას და მოკლე დრო მაინ იქნება როცა შეშას ჩამოვიტანთ. რაც შეეხება ურმებს, ჩვენ ჯერ 7 ურმი გვაქვს და სპეკულიციას, ასაკეთებთ ესეც საკმარისია ისინი საკენზე 20 ვ ღებულობენ გადასატანს.

(გაგრძელება იქნება) **ბაუა**

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲛᲐ.

როგორც ყველამ ვიცით, მცხოვრებლებზე სურსათით უზრუნველყოფა სასურსათო კომიტეტმა იკისრა.

კომიტეტს სათავეში ყოველად პატიოსანი პირნი უდგანან.

მოქალაქენი დარწმუნებული ვიყავით, რომ უზრუნველყოფილი ვიქნებოდით პურით, შაქრით, ზეშით და სხვა საჭირო სანოვაგით. მაგრამ მოტყუებული დავრჩით. ყოველ დღე ვკითხულობთ გაზეთებში: პური ილეგა; შაქარზე ნიხრი მატულობს, ზეშა არ არის და არც იმედია, რომ იქნება და სხვა ამისთანა საჭიროებისა ამბები გვესმის. მიზეზი რა საკვირველია, ამ გარემოებისა ბევრია.

დ ყოველისფერს კომიტეტს ვერ მოვახვევთ თავზე. მიუხედავად ამისა კომიტეტის მოქმედება მოგვაგონებს კრილოვიის იგავს „щука и котъ.-ს, სადაც ქარაულაპა თევზსა მოისურვა თევზების მაგივრათ ბეღელში თაგვების ბერი და თავი წაადო. და მეც ვფიქრობ, რომ ეს პატიოსანი პირნი ყოველად გამოცდილნი თავის სპეციალურ საქმეებში, აქ, ამ სასურსათო კომიტეტში ძრიელ მოუზადებელნი და შეუფერებელი გამოდგენ.

ავიღოთ ერთი მაგალითი: უმეტესი ნაწილი ქალაქში მცხოვრებლებისა სოფელთან ვართ დაკავშირებული და სოფლით ვიბრუნებთ სულს. კომიტეტი კი გვიკრძალავს, რომ ჩვენი ოჯახის საჭიროებისთვის მოვიტანოთ ან პური, ან ლობიო, სიმინდი და ან სხვა რამე. რა მოსაზრება აქვს კომიტეტის ამ დადგენილებას ეერ გამგია. თვითონ ვერაფერს გვაწვდის და რათ გვიშლის, რომ ჩვენ თვითონ ვიზრუნოთ ჩვენს თავზე!? თუ იმის ფიქრობს, რომ ჩემს ნამტაბნილს სანოვაგეს ნიხრს ზეკით მიეყიდი ჩემს მეზობელს-ეს შემცდარი აზრია. ეგებ, არა თუ ნიხრს ზეკით-ისედაც ვაესესხო ჩემს გაჭირვებულ მეზობელს ჩემთვის მოტანილი სიმინდის დაფქული. სინდისსაც რომ გადუდგეს და დიდ ფასში მიეყიდო, ვფიქრობ, რომ ჩემს მეზობელს ის ურჩენია, ძვირათ იყიდოს (ოღონდ კი იმოვოს) ვიდრე უცაოდს კომიტეტის მოტანილ ფქვილს და სულ შიერი დარჩეს. სოფლელებს მაგარი ფასის შიშით სიმინდის ფქვილი სრულებით აღარ შემოაქვთ ეშინიათ რეკვიზიციისა-ერთის სიტყვით, ბატონმა მზრუნველებმა ჩაგვაყენეს აუტანელ მდგომარეობაში: ვერც თვითონ მოახერხეს ჩვენი უზრუნველ-ყოფა და ჩვენც საშუალებას სახსარი მოგვისპეს!

სანამდი გვეპირობენ ამ გარემოებაში დატოვებას? ზამთარი მოახლოდა-არც შოლტებს არც დაწყვეტებებს და არც კერძო მოქალაქეთ შეშა არა გვაქს. როგორ მოგწონთ ეს საქმე და რას ფიქრობთ?

მოქალაქე.

ᲥᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲒᲘᲓᲐᲜ.

რუსეთის ჯარის აჯანყება საფრანგეთში.

საბჭოს ცნობა მოუვიდოთ, რომ საფრანგეთში მყოფი რუსის ჯარი აჯანყდა და ბევრი ჯარისკაცი ამის გამო დახვრეტესო. საქმის გამოსარკვევათ საბჭოებმა საფრანგეთში გაგზავნეს საგანმანდობელო კომისია.

ვილჰელმი-ოსმალეთის ლაშქრის ფელდმარშალი.

იმპ. ვილჰელმი სტამბოლში იყო, იგი კარგახანს ესაუბრა სულთანს და ბრწყინვალე პორტის წარმომადგენელს. სულთანმა იმპ. ვილჰელმს ოტომანთა იმპერიის ჯარის ფელდმარშლობა უბოძა.

თ-დ ბიულოვის სამშვიდ ბო პროექტი.

იტალიეთში ელჩათ ყოფილმა თ-დმა ბიულოვმა შემდეგი ნაზავი პროექტი შეადგინა. გერმანეთი უნდა დაუახლოვდეს დასავლეთ ევროპის მეგრძოლ სახელმწიფოთ, მათ კავშირით შეეკოს და, სამაგიეროთ, აღმოსავლეთში (რუსეთი) კომპენსაცია მიიღოს.

ზავი და ავსტრია.

ავსტრო-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ავსტრიაში ჯერს საკმათ აქვს ნიადაგი მომზადებული ცენტრალ სახელმწიფოებს [illegible] ბატონ [illegible] ყველამ [illegible] ავსტრია ამაოდ [illegible] ომი [illegible] ომ [illegible] ომ [illegible] ომ